



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ/512-09

30 აპრილი, 2009 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ:

თავმჯდომარე – ნანა ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები: მანანა ჩოხელი
ლეილა მამულაშვილი

კერძო საჩივრის ავტორი – საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი ი. კ.;

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინება;

დავის საგანი – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ;

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

2008 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა სსიპ „ქ.თბილისის №XXJ საჯარო სკოლამ, მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 მაისის №506 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16-ე მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში მესამე პირად ჩართული იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, იმ მოტივით, რომ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნული სასამართლოს განჩინება გაასაჩივრებელი იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის მიერ და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინების გაუქმება იმ მოტივით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ



საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ვინაიდან სადაო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ მონაწილეობდა და ასევე მხარის მიერ არ გასაჩივრებულა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება, რითაც სასამართლო სცილდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინება საქმეში მესამე პირად – საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩართვის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინება საქმეში საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 16-ე მუხლის 2 ნაწილის თანახმად მესამე პირად ჩართვის თაობაზე იურიდიულად არ არის დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394...-ე მუხლების შესაბამისად არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლიტური საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს და სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 მაისის №506 ბრძანების კანონიერება. მოსარჩელეს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის №380 ბრძანება სასამართლოში სადავო არ გაუხდია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის საქმეში სავალდებულო ჩაბმის პროცესუალური წინაპირობები, არ დაასაბუთა თუ რა



თვალსაზრისით წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეს, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზემდგომ თანამდებობის პირს, რომელიც ზაკ-ის XIII თავის მიხედვით უფლებამოსილია გადასინჯოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებათა კანონიერება, რაც არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობის მონაწილეს; ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არის მმართველობითი სისტემის იერარქიული რგოლი, რომლის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს ქვემდგომ ორგანოთა გადაწყვეტილებების და მოქმედების (უმოქმედობის) კანონიერებაზე ზედამხედველობა და ფიზიკურ (იურიდიულ) პირებსა და ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მმართველობითი ფუნქციების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელება. აღნიშნული საჯარო ვალდებულება არცერთ შემთხვევაში არ განაპირობებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობაში მონაწილის სტატუსს, რის გამოც განსახილველ დავაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პროცესუალურ სუბიექტს შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების არარსებობის გამო.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის ი. კ.-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინება საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 16-ე მუხლის 2 ნაწილის თანახმად საქართველოს პრემიერ-მინისტრის მესამე პირად ჩართვის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე, 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის ი. კ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 05 თებერვლის საოქმო განჩინება საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქართველოს პრემიერ-მინისტრის მესამე პირად ჩართვის თაობაზე.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



თავმჯდომარე:

ნ. ჭიჭილაძე

მოსამართლეები:

მ. ჩოხელი

ლ. მამულაშვილი